



ადმოსავლეთის ჰარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ჯანდაცვის ქვეჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 6 მარტი, 2013 წელი

დრო: 18:00 – 19:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
2. თინა ტურძილაძე - ჯანმრთელი სამყაროს კოალიცია, "ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბი"
3. ზურაბ ფუტკარაძე - ჯანმრთელი სამყარო
4. მიხეილ კუკავა - საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო
5. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი
6. მათა ბიბილეიშვილი - კოალიცია "დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის"
7. გიორგი ხიშტოვანი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
8. მიხეილ დოლიძე - თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი
9. ანდრია ურუშაძე - თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი
10. თამარ გაბისონია - კონსტიტუციის 42 -ე მუხლი
11. ელენა ფილევა - კონსტიტუციის 42 -ე მუხლი
12. უჩა ვახანია - კოალიცია შინმოვლა საქართველოში
13. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
14. ბექა ყურმაშვილი - ადამიანის ღირსება ხელშეუვალია

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენელმა და დამსწრეებს გააცნო ინიციატივა პირველი ჯგუფის ფარგლებში ჯანდაცვის ქვეჯგუფის შექმნის შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისაუბრა ქვეჯგუფის შექმნის საჭიროებაზე, მიზნებსა და ამოცანებზე. მისი თქმით, ჯანდაცვის სისტემაში წლების განმავლობაში ძალიან ბევრი

პრობლემა იყო და ეს პრობლემები დღესაც აქტუალურია. ქვეჯგუფში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს როგორც უფლებადამცველებმა, ასევე იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც აკადემიური ტიპის საექსპერტო დასკვნებს ამზადებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეჯგუფმა იმუშაოს როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე აკადემიურ დონეზე კვლევების წარმოების მიმართულებით. საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენლის აზრით, კარგი იქნება თუ დასაწყისისთვის შეიქმნება ქვეჯგუფის მუშაობის მოკლევადიანი გეგმა, რომელშიც გაიწერება მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ქვეჯგუფის წევრებს შორის გამართული კომუნიკაციის უზუნველსაყოფად შეიქმნება ცალკე Google ჯგუფი.

რამდენადაც ქვეჯგუფის პირველი შეხვედრა გაცნობითი/საინფორმაციო ხასიათის იყო, დამსწრეებმა მოკლედ წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ჯანდაცვის ქვეჯგუფში გაწევრიანების მოტივი და მიზნები.

ამის შემდეგ წევრებმა იმსჯელეს ქვეჯგუფის მუშაობის ძირითად მიმართულებებსა და ფორმატზე. ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეჯგუფმა პირველ რიგში უნდა განიხილოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ჯანდაცვის სისტემის შეფასების დოკუმენტი. შესაძლებელია ასევე მომზადდეს რეკომენდაციები უზრუნველყოფის სტანდარტების შექმნასა და მისი იმპლემენტაციაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, შეფასება ყოველთვის იქნება სუბიექტური, თუ არ არსებობს გარკვეული სტანდარტები. ამ შემთხვევაში იგულისხმება სტანდარტები, რომლებიც აფასებენ წამლის უსაფრთხოებას, მის ეფექტურობასა და რაციონალურ გამოყენებას. მსგავსი სტანდარტები უკვე არსებობს, საჭიროა მხოლოდ მათი მოდიფიცირება და ქართულ სამართლებრივ სივრცეზე მორგება. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, 2016 წლისთვის სახელმწიფოს უკვე აქვს აღებული ვალდებულება გმპ სტანდარტზე, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ არაფერი გაკეთებულა, სტანდარტის შემოღებას კი სერიოზული მომზადება სჭირდება. საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ასევე მონიტორინგის დაწყება სხვადასხვა მიმართულებით.

თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენლის თქმით, ქვეჯგუფს უნდა ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია და თავისი პოზიცია ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ფარმაცევტული ბაზარი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა როგორც ხარისხის, ისე ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ასევე პაციენტის უსაფრთხოებისა და უფლებების სფერო. თუმცა იმისათვის, რომ გადაიდგას გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები ნებისმიერი ზემოთ დასახელებული მიმართულებით პირველ რიგში საჭიროა წარსულში დაშვებული შეცდომების ანალიზი. ჯანმრთელი სამყაროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ჯანდაცვა იყო და რჩება ერთ-ერთ ყველაზე რთულ სისტემად, აუცილებელია ცვლილებების განხორციელება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე.

საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით ქვეჯგუფის მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი სამი მიმართულებით: უფლებადაცვითი საქმიანობა, კვლევა/ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს წარმომადგენელი დაინტერესდა თუ რა საკითხებზე მოხდება რეკომენდაციების მომზადება და რა ინსტრუმენტის ფარგლებში იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვა არ შედის ეროვნული პლატფორმის არცერთი ჯგუფის სამუშაო თემატიკაში. თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, სადაც ძირითადად საუბარია რეაგირებისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემების გაძლიერებაზე. საქართველოში დაახლოებით 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორში, უაშუალოდ რეაგირებისა და ეპიდზედამხედველობის სისტემების გაძლიერებაზე, თუმცა სისტემა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, არ შემუშავებულა ასევე ბიოლოგიური საფრთხეების სტრატეგია. აქედან გამომდინარე შესაძლებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა იყოს ქვეჯგუფის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება და სწორედ აღნიშნული ინსტრუმენტის ფარგლებში მომზადდეს რეკომენდაციები მთავრობისთვის. ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არსებობს კიდევ ერთი „ტაიექსი“ - ს (TAIEX) ტექნიკური ინსტრუმენტი.

თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენლის თქმით, კარგი იქნება თუ ქვეჯგუფის წევრები აქტიურად იმუშავენ ერთმანეთის გაძლიერებაზე როგორც საერთო ღონისძიებებით და ადვოკატირების კამპანიებით, ასევე ორგანიზაციების სხვადასხვა აქტივობებზე ინფორმაციის გაცვლით. საინფორმაციო კამპანიები ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია არ მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ თვითონ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება, მათი გეგმებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მიღება. დამსწრეები შეთანხმდნენ, პირველ რიგში აუცილებელია ქვეჯგუფის წევრები შეჯერდნენ კონკრეტულ ხედვებზე ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლის აზრით, კარგი იქნება თუ ქვეჯგუფი შეთანხმდება ასევე მუშაობის წესებზე.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ქვეჯგუფის მუშაობის კონკრეტულ მიმართულებებსა და ფორმატზე მსჯელობა გაგრძელდება ელექტრონულად.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია